ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია

GEORGIA
ZESTAFONI MUNICIPALITY CITY HALL

ზესტაფონი, წერეთლის ქ №11 ტელ: (492) 252626, 252766
№11. Tsereteli st. Zestafoni. Tel: (492) 252626, 252766
zestaponi.municipalyti@gmail.com

N 43/3715
06/08/2020

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
პირველ მოადგილეს, ბატონ
გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიისთვის დელეგირებული უფლებამოვალეობის განსახორციელებლად, მუნიციპალიტეტის მიერ 100 %იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომელიც ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიიდან თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოებისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა მიმდინარე ხარჯებისთვის ყოველწლიურად იღებს სუბსიდიას, რომელის 2020 წელს 158,200.0 ლარს შეადგენს, აქედან: დლეგირებული თანხაა 102,000.0 ლარი, რომელიც მთლიანად მიმართულია ორგანიზაციის თანამშრომელთა სახელფასო დავალიანებისა და მასთან გათანაბრებული ხარჯების დასაფარად, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები 56,200.0 ლარი, მათ შორის: 34,371.0 ლარი გათვალისწინებულია ზესტაფონის მუნიციპალიტეტში C ჰეპატიტზე, აივ ინფექცია/შიდსზე და ტუბერკულიოზზე ინტეგრირებული სკრინინგის მუნიციპალური პროექტის განსახორციელებლად ხოლო 21,829.0 ლარი განკუთვნილია ორგანიზაციის სხვა მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.

წლის განმავლობაში თავისი ძირითადი საქმიანობის გარდა სხვა და სხვა წყაროდან(დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის, მუნიციპალიტეტის მერია, ჯანდაცვის სამინისტრო) მიღებული დაფინანსებით დამატებით ახორციელებს სახელმწიფო მნიშვნელობის მოკლე და გრძელვადიან პროექტებს, როგორებიცაა: C ჰეპატიტის, შიდსის, კიბოს, ტუბერკულიოზის სკრინინგის, თამბაქოს მოწევის კონტროლისა და ახლა უკვე ახალი Covid 19 ის სამიზნე ჯგუფებში პრე ტესტირება.

აღნიშნული პროექტებიდან მოზიდული თანხები აისახება ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის საკუთარი შემოსულობების ანგარიშზე, რომელთა ნაწილი განსაზღვრულია ოფისისა და სანიტარულ-ჰიგიენური ხარჯებისთვის, ხოლო ნაწილი იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც პროგრამებით აღებულ ვალდებულებებს ასრულებენ თავისი ძირითადი ფუნქციებთან ერთად დამატებით.

ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლებზე დამატებითი ფუნქციების შესრულებისთვის 2020 წლის პირველი იანვრიდან დღემდე გაცემულმა დანამატებმა მიაღწია საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლით განსაზღვრულ, სახელფასო დანამატის საერთო რაოდენობას(20 %).

დღეს როცა ახალი Covid 19-ის წინააღმდეგ ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაშია და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მისი სწორად მართვა, გთხოვთ, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მეშვეობითთ გვირჩიოთ რა ფორმით და საბიუჯეტო კლასიფიკაციის რომელი მუხლით მოხდეს ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის პერსონალისთვის კუთვნილი თანხების განაღდება რათა არ შეფერხდეს ახალი Covid 19-თან ბრძოლის ღონისძიებები.

პატივისცემით,
გიორგი გოგლიჩიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია